პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— ნოემბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან არსებული სკვერისთვის მეფე ერეკლე II - ის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან არსებულ სკვერს მიენიჭოს მეფე ერეკლე II-ის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**


ერეკლე II-ის სახელობის
სკვერი
01.17.10.008.164
01.17.10.008.169
01.17.10.008.165
01.17.10.008.170
01.17.10.008.172
01.17.10.008.171
01.17.09.064.060
01.17.09.064.021
01.17.10.010.007
01.17.10.010.015
01.17.10.011.100
01.17.10.011.001
01.17.10.011.105
01.17.10.011.048
01.17.10.011.023
01.17.12.002.041
01.17.12.002.073
01.17.12.002.170
01.17.12.002.160
01.17.12.003.007
01.17.12.003.017
01.17.12.003.215
01.17.09.035.001
01.17.10.008.039
01:01.834
01:00.124
01:00.004
01:04.818
01:04.386
01:00.287
01:00.082
01.00.038
ნოე რამიშვილის ქუჩა
კახეთის გზატკეცილი
მოხკოვის გამზირი
1 : 33

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032532931**
თარიღი: **25/11/2025**

როგორც მოგეხსენებათ, მ/წლის 20 ნოემბერს, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომაზე, კომისიის მიერ ერთ-ერთ საკითხად განხილული იქნა ისნის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან არსებული სკვერისთვის მეფე ერეკლე II -ის სახელის მინიჭების შესაძლებლობა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ, ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს გააცნო არსებული მდგომარეობა. აღნიშნული სკვერის მიმდებარედ, მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილის ესკიზის მიხედვით დამზადებული ერეკლე II - ის ძეგლი 2025 წლის 24 სექტემბერს გაიხსნა. ლევან აბაშიძის განცხადებით თბილისში არ არსებობს ერეკლე მეორის სახელობის სკვერი, ვინაიდან განთავსებული ძეგლი თვისობრივად ცვლის არსებულ ტერიტორიას და სივრცეს განსაკუთრებულ კულტურულ და ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს მიზანშეწონილია სკვერს მეფე ერეკლე II ის სახელი ეწოდოს.

ვინაიდან კომისიამ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ "ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან არსებული სკვერისთვის **მეფე ერეკლე II - ის** სახელის მინიჭების შესახებ." საკითხი ინიციატივად დაინიცირდეს საკრებულოს წინაშე გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში საჭირო ღონისძიებების გატარებას.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა
და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032532951**
თარიღი: **25/11/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილავს ინიციატივას ისნის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან არსებული სკვერისთვის მეფე ერეკლე II-ის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ ზემოხსენებული სკვერის სიტუაციური ნახაზი დანართის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი